რჩეულნი—დეპუტატობის კანდიდატებად!

დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 28 (12236) | პარასკევი, 2 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის კანდიდატები

ქართველმა მეტალურგებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და გამოჩენილი მეფოლადე ამირან სოლომონის-ძე ფანცულაია

რუსთავი—მძიმე ინდუსტრიის ცენტრი, მეგობრობისა და ძმობის ქალაქი საზეიმოდ გამოიყურება. მეტალურგიული ქარხნის სახელოვანი კოლექტივი თავდადებით შრომობს დიადი შვიდწლედის მეოთხე წლის ამოცანების შესასრულებლად. ყველგან, საამქროებსა და შენობებს ამშვენებს მოწოდებანი: „მეტი ფოლადი სამშობლოს“!, „ვებრძოლოთ სკკპ XXII ყრილობის მიზნდასახულობათა შესასრულებლად“!

პირველი თებერვალი. შემოქმედებითი შრომის ერთი ჩვეულებრივი დღე...

როლანგებმა გაატარეს მილნამზადის მორიგი პარტიები, მარტენის ღუმელმა ვეება ცეცხლებში გადაუშვა ფოლადის ახალი ნადნობი, ბრძმედებიდან წამოვიდა თუჯის ნიაღვარი. ამ დღეს სამშობლომ ქართველი მეტალურგებისაგან ახალი პროდუქცია მიიღო. პროდუქციის გამოშვების ერთი დღის გეგმა გადაჭარბებით იქნა განაღდებული.

შრომაში გამარჯვებულნი, პირველი ცელის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები კლინების საჩარხ სახელოსნოში შეიკრიბნენ. ისინი მოვიდნენ აქ, რათა განახორციელონ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული დიდი უფლება — წამოაყენონ თავიანთი კანდიდატები ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება გახსნა მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. გ. მგალობლიშვილმა. იგი სიტყვას აძლევს ქარხნის დირექტორს ამხ. ს. შარაძენიძეს.

— შესანიშნავ დღეებში ვცხოვრობთ, ამხანაგებო, — ამბობს ორატორი, — საბჭოთა ხალხი უკვე შეუდგა კომუნიზმის ნათელი შენობის აგებას, რაშიაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქარხნის კოლექტივს, რომელიც მონდომებით იბრძვის და მუშაობს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოსახვეჭად. დღეს ჩვენ შევეკრებენით აქ იმისათვის, რომ დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატები.

ჩვენი ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 710 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

ამ წინადადებას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სიტყვა ეძლევა მარტენის საამქროს უფროსს მოადგილეს შალვა კუხალეიშვილს. მან მხარი დაუჭირა წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დასახელების შესახებ და ამასთან წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის № 710 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას ცნობილი ქართველი მეფოლადე, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ამირან სოლომონის-ძე ფანცულაია.**

— ამირან ფანცულაია, — ამბობს იგი, — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს დღიდან ამ ქარხნის დაარსებისა. ბრიგადა, რომელსაც იგი უძღვება, რამდენიმე წელია ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის მაღალ წოდებას. შარშან ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 1.780 ტონა ფოლადი მისცა სამშობლოს. პარტიამ, მთავრობამ, ხალხმა ღირსეულად შეაფასეს მისი ნაყოფიერი მუშაობა ქართული ფოლადის წარმოებაში, დააჯილდოვეს იგი ლენინის ორდენით. და თუ მეფოლადეთა ბრიგადა ღირსეულად ატარებს სკკპ XXII ყრილობის სახელს, ამაში სხვებთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ამირან ფანცულაიას.

ტრიბუნაზეა ქიმიური საამქროს მუშა ამხ. ა. რაფაელოვა. მან მხარი დაუჭირა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის და ამირან სოლომონის-ძე ფანცულაიას წამოყენებას.

სიტყვას ამბობს საგლინავი საამქროს ინჟინერი ამხ. ა. ჭილაევი.

— მე მხარს ვუჭერ ორატორთა აზრს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. ამხ. ხრუშჩოვს დიდი დამსახურება მიუძღვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში, იგი დაუღალავად იბრძვის საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლებისათვის, მას ჩვენი ხალხი მიჰყავს წინ კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად.

ორატორის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა. მან მხარი დაუჭირა აგრეთვე წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხახელოვანი ქართველი მეფოლადის ამირან სოლომონის-ძე ფანცულაიას დასახელების შესახებ.

— მე მხარს ვუჭერ წინადადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ იქნან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეთაური ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ქართული ფოლადის გამოჩენილი ოსტატი ამირან სოლომონის-ძე ფანცულაია, — განაცხადა თავის სიტყვაში მეფოლადე გ. ბერეკაშვილმა.

კრებამ ერთხმად დადგინა წამოყენებულ იქნან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. რუსთავის № 710 საარჩევნო ოლქში **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და **ამირან სოლომონის-ძე ფანცულაია** და ეთხოვოს მათ კენჭი იყარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. რუსთავის № 710 საარჩევნო ოლქში.

კვლავ ქუხს ოვაცია. კრების მონაწილენი ფეხზე ადგომით გამოხატავენ თავიანთ ერთსულოვნებას და დარაზმულობას ჩვენი მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

კრებამ აირჩია წარმომადგენლები მშრომელთა წინასაარჩევნო თათბირზე დასასწრებად.

* * *

სურათებზე: (ზევით) წინასაარჩევნო კრება ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. ტრიბუნაზეა **შ. კუხალეიშვილი;** (ქვევით) მარტენის საამქროს მეფოლადეები ულოცავენ **ა. ფანცულაიას** (მარცხნივ) **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად** მის **დასახელებას.**

ფოტო ვ. ზარიძისა.

მოსკოვის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე

საარჩევნო კამპანია შევიდა ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპში — დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა — მოსკოვმა ერთ-ერთმა პირველმა დაასახელა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატები. ნამდვილად ღირსშესანიშნავ დროში მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია წელს. თითქოს მძლავრი პროეტქორით გაუნათა პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური მომავლის გზა. მშრომელები, რომლებიც ახასელებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებს, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ მზიდრო დარაზმულობას კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც ხალხი ნათელი მომავლის გზით მიჰყავს.

...საზეიმოდ მორთულია მეტალურგიული ქარხანა „ნამგალი და ურმა“ ფოლადის მავთულის საამქრო. წითელ ქსოვილზე წარწერილია სიტყვები: „საბჭოთა ადამიანების ახალანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!“ საწარმოს ოთხი ათასზე მეტი მუშაკი შეიკრიბა საამქროში. კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი, გახსნა ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. კისელიოვმა. მან სიტყვა მისცა სორტული ნაგლინის საამქროს „250“ დგანის ოსტატს ლ. ი. სადიკოვს.

— ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სახელით, — ამბობს ამხ. სადიკოვი, — წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქში დავასახელოთ ერთგული ლენინელი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, ამბობს ორატორი, მთელი მსოფლიო იცნობს როგორც მშრომელთა ბედნიერებისათვის, ხალხთა მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. ყველა პოსტზე, სადაც მას პარტია და ხალხი აყენებენ, ამხანაგი ხრუშჩოვი ავითარებს მჩქეფარე მოღვაწეობას.

ამხ. სადიკოვის წინადადებას, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ, მხურვალედ დაუჭირეს მხარი პირველი მარტენის საამქროს მეფოლადემ პ. მ. ემელიანოვმა, საკალიბრო საამქროს მუშამ ა. ი. ნეკრასოვამ, მეორე მარტენის საამქროს უფროსის თანაშემწემ ი. ვ. მატვეევკომ, სრულიად საკავშირო ალკა კომიტეტის მდივანმა პ. ი. სტეპანოვმა, პარტკომის მდივანმა ი. დ. ნოვიკოვმა.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება: კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **კალინინის** საარჩევნო ოლქში დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი დეპუტატობის კანდიდატად კალინინის საარჩევნო ოლქში დასახელეს აგრეთვე მოსკოვის სახარისხებელი სადგურის კომუნისტური შრომის სალოკომოტივო დეპოსა და ქარხანა „მანომეტრის“ კოლექტივებმა, ბაუმანის საარჩევნო ოლქში — ქვანახშირის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული ინსტიტუტის კოლექტივებმა, კრასნაია პრესნას საარჩევნო ოლქში — სხმული მანქანების ქარხანა „კრასნაია პრესნას“ კოლექტივმა და კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ ფეიქრებმა, ლომონოსოვის საარჩევნო ოლქში — მეორე სახელმწიფო საკისრის ქარხნის კოლექტივმა, ოქტომბრის საარჩევნო ოლქში — ქარხანა „წითელი პროლეტარის“ ჩარხმშენებლებმა.

ხალხმრავალი კრება გაიმართა მოსკოვის ფოსტამტში, რომლის კოლექტივი კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებისათვის იბრძვის. პირველი კრებაზე გამოვიდა წარმოების ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი, პირველი საამქროს ცვლის უფროსი ო. ს. პანკოვა.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა ამხ. პანკოვამ, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდე ილიას-ძე ბრეჟნევი.

ამხ. პანკოვას წინადადება მხურვალედ მოიწონეს. ელექტრომექანიკური საამქროს უფროსმა ინჟინერმა ი. ს. კრასავინმა, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა ზ. ფ. კოპტელოვამ, მეოთხე საამქროს ოპერატორმა ტ. ფ. ლოგუნოვამ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოწინავე მუშაკის წინადადებას.

კრებამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ბაუმანის** საარჩევნო ოლქში დაასახელოს **ლეონიდე ილიას-ძე ბრეჟნევი.**

ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აგრეთვე მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშათა კრებამ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზი. აქ შეიკრიბნენ საბჭოთა მეცნიერები, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები.

აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მსტისლავ ვსევოლოდის-ძე კელდიში.

მეცნიერთა კრებამ დადგინა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ მოსკოვის **ლომონოსოვის** საარჩევნო ოლქში დაასახელოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **მსტისლავ ვსევოლოდის-ძე კელდიში.**

ლენინის სახელობის თეატრში შეიკრიბნენ მოსკოვის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — ძერჟინსკის სახელობის კომბინატის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ ფეიქრები. ისინი მოვიდნენ აქ, რათა განახორციელონ თავიანთი საპატიო უფლება — დაასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

ტრიბუნაზეა მრთველი ზ. ბილდინა. მას წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ კომბინატის წარჩინებული მრთველი დარია პავლეს ასული სმირნოვა, კომუნისტური შრომის დამკვრელი, წარმოებაში შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის აქტიური მებრძოლი. ბევრი კარგი მრთველი აღზარდა მან კომბინატში ოცდა ხუთი წლის მანძილზე.

კომბინატის მშრომელებმა ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების კრასნაია პრესნას საარჩევნო ოლქში დასახელეს **დარია პავლეს ასული სმირნოვა.**

„მოსშშენის“ № 1 ტრესტის ასობით მემონტაჟე, მებეტონე, მომპირკეთებელი შეიკრიბა მშენებელთა კულტურის სახლ „ნოვატორში“ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას. სიტყვას ამბობს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ა. ზატეორნიცკი.

— წინადადება შემომაქვს, — განაცხადა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დავასახელოთ მოწინავე მემონტაჟე გერმანე ინოკენტის-ძე ლამოჩკინი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, მშენებლობაში ბევრი ძვირფასი წამოწყების ინიციატორი.

მოსკოველმა მშენებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ოქტომბრის** საარჩევნო ოლქში დაასახელონ **გერმანე ინოკენტის-ძე ლამოჩკინი.**

ქარხანა „მოსკაბელის“ ერთ-ერთ საამქროში გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი. კომუნისტური შრომის მავთულის საამქროს ოსტატის ე. ს. სოტნიკოვას წინადადებით კრების მონაწილეებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **მოსკოვის საბჭოს** საარჩევნო ოლქში დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნ. მ. შვერნიკი დასახელა აგრეთვე მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ჩარხმშენებელთა საერთო კრებამ.

მშრომელთა კრებებზე, რომლებიც გუშინ გაიმართა დედაქალაქში, აირჩიეს წარმომადგენლები წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე გასაგზავნად.

ასეთია მათი გულისთქმა

სოფელ შრომის კოლმეურნეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, ნოვატორი მეჩაიე ამხანაგი ტ. ნ. ჩხაიძე

მახარაძე. (ჩვენი კორ.). გუშინ დიდი ზეიმი იყო სოფელ შრომაში. აქ გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება. კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ორაგველიძემ.

მოხსენებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების შესახებ გამოვიდა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი კ. ჩანჩიბაძე.

— არჩევნებისათვის მზადება, — თქვა მან, — მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართო ფრონტით ჩაღდება გმირული შრომა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენი კოლმეურნეობა კვლავაც მოწინავეთა რიგებშია პარტიის ამ დიად მიზნდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლაში. კოლმეურნეობამ წარმატებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. ქვეყანას მისცა 1 მილიონ 170 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რითაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, სახელმწიფოს მიჰყიდა 301 ათასი კილოგრამი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც გეგმის 107 პროცენტს შეადგენს, ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 43,4 ცენტნერი სიმინდი.

სიტყვას იღებს სოციალისტური შრომის გმირი, მესიმინდეთა სკოლის მასწავლებელი სოლომონ ქარჩავა.

მან ამომრჩეველთა ტაშის გრიალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მახარაძის № 139 საარჩევნო ოლქში დასახელა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს **თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

ამ წინადადებას ამომრჩევლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ტრიბუნაზეა ცნობილი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გუგული ქადეიშვილი, რომელმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი ქარჩავას წინადადებას, ამასთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.**

შემდეგ სიტყვა აიღო კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის ბრიგადირმა ი. კვაჭანტირაძემ. მან მხარი დაუჭირა წინადადებებს დეპუტატობის კანდიდატებად ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის წამოყენების შესახებ და წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 139 სარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **ტატიანა ნესტორის ასული ჩხაიძე.**

— ტატიანა ჩხაიძე, — თქვა მან, — ერთი იმათთაგანია, ვინც შრომით გაითქვა სახელი. გმირული შრომისათვის მას აფასებს ხალხი, აფასებს პარტია. ის იყო სკკპ XXII ისტორიული ყრილობის დელეგატი. ჩვენი ტატიანა უკვე რამდენიმე წელია დაუღალავად შრომობს ჩაის პლანტაციებში და ზედიზედ მოჰყავს ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი. შარშანაც 0,5 ჰექტარ პლანტაციაში 12.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა, ხოლო რგოლმა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, მოსავლელად მიმაგრებულ 4 ჰექტარ პლანტაციაში მიიღო 42 ათას კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული.

წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და დასახელებულ კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს კოლმეურნეობის ბრიგადირმა გალაქტიონ ხომერიკმა, კოლმეურნეებმა ანგელინა ჯორბენაძემ და ეპიფანე მძავანაძემ, სოფელ შრომის საშუალო სკოლის დირექტორმა რევაზ ჩხაიძემ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მახარაძის № 139 საარჩევნო ოლქში ერთხმად არიან დასახელებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** და ნოვატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **ტატიანა ნესტორის ასული ჩხაიძე.**

* * *

სურათზე: ტ. ჩხაიძე.

ჩვენ დიად სამშობლოში

მოსკოვისაკენ

მოსკოვი, 1 თებერვალი. (საკდესი). წარმატებით გრძელდება ორი საბჭოთა საჰაერო ლაინერის ფრენა მირნის სამხრეთ პოლარული ობსერვატორიიდან მოსკოვისაკენ. ბირმის დედაქალაქში ხანმოკლე შეჩერების შემდეგ 31 იანვარს საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის „ილ-18“ და „ან-10“ თვითმფრინავებმა სტარტი აიღეს რანგუნის აეროდრომიდან და კალკუტას გაფრინდნენ.

კალკუტაში დაახლოებით ორ საათს შეჩერდნენ, რის შემდეგაც ორივე საჰაერო ლაინერი კვლავ ჰაერში ავიდა და 2 საათისა და 50 წუთის შემდეგ დელიში დაეშვა.

საბჭოთა საჰაერო ანტარქტიკულმა ექსპედიციამ, რომელიც ანტარქტიკიდან საბჭოთა კავშირში ბრუნდება, 35 საათში გამოიარა დაახლოებით 19 ათასი კილომეტრი მანძილი, რაც მთელი უკანა მარშრუტის ოთხ მეხუთედს შეადგენს.

დელიდან საბჭოთა ლაინერები კურსს აიღებენ ტაშკენტისაკენ.

მეცნიერული კომუნიზმის თეორია დიადი სახელმძღვანელოა

მოსკოვი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა სრულიად საკავშირო თათბირზე დაიწყო განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ბ. ა. სუსლოვის** მოხსენებისა „სკკპ XXII ყრილობა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების ამოცანები“.

პირველი გამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე, პროფესორი **დ. ი. ჩესნოკოვი,** რომელიც შეეხო პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის საკითხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა შექმნილია ყველა პირობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის, შემდეგ ორატორი შეეხო პრობლემებს, **რომლებიც** დაკავშირებულია უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული კომუნიზმის თეორიის **კურსის** შემოღების შესახებ წინადადების განხილვასთან. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ **ი. ი. კონდუფორმა** აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისათვის იყენებენ საუკეთესო ძალებს. ამ პროფილის მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობა სკკპ XX ყრილობის შემდეგ ერთისამად გაიზარდა.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე — რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე **ს. ი. ნიკიშოვი,** ვოლგოგრადის სამედიცინო ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, დოცენტი **ზ. ფ. დუბროვინა,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **კ. ვ. ოსტროვიტიანოვი,** ყაზახეთის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **კ. ბ. ბილიალოვი,** ვილნიუსის უნივერსიტეტის პრორექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ს. ა. ლაზუტკა,** აკადემიკოსი **ი. ი. მინცი,** სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **ვ. პ. ელიუტინი** და სხვები.

V თებერვალი — თათბირის მესამე დღე მიეძღვნება სექციების მუშაობას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების თათბირი

1962 წლის **30** იანვრიდან **1** თებერვლამდე პრაღაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე **სახელმწიფოთა** თავდაცვის მინისტრების **თათბირი.**

თათბირს თავმჯდომარეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე **ქვეყნების** გაერთიანებული **შეიარაღებული ძალების** მთავარსარდალი **საბჭოთა კავშირის** მარშალი **ა. ა. გრეჩკო.**

თათბირმა განიხილა **გაერთიანებული** შეიარაღებული **ძალების** განმტკიცების **მიმდინარე** საკითხები.

გადაწყდა ეთხოვოს ვარშავის ხელშეკრულების **მონაწილე ქვეყნების** მთავრობებს **დამტკიცონ** მიღებული **გადაწყვეტილებანი** პოლიტიკური **საკონსულტაციო** კომიტეტის **უახლოეს** სხდომაზე.

პირველად მსოფლიოში



დიდი დიამეტრის ფოლადის მილების წარმოება ნავთობის მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ელექტროსადგურების მშენებლობის, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის ხორციელდება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში თანამედროვე საბჭოთა წარმოების საგლინავ აგრეგატ „400“-ზე, რომელიც აგრეგატ „140“-თან ერთად შეადგენს მილსაგლინავი საამქროს დანადგართა კომპლექსს.

მასშტაბებით ეს საამქრო ერთ დიდ ქარხანას უდრის. იგი აერთიანებს შვიდ მალს. თვითეული ნახევარი კილომეტრის სიგრძისაა. აგრეგატი „400“ შედგება 12 ათასი ტონა სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობისაგან. ელექტროდენსადენებს მოძრაობაში მოჰყავთ აგრეგატის მუშა გლინები, რგოლურ მახურებელ ღუმელთა ქვედები, ათობით მანქანები, გამზიდი როლგანგები და ჯაჭვური ტრანსპორტიორები. 170 მექანიზმი, ორი ათასი ელექტრული და პნევმატიკური ამძრავი განლაგებულია აგრეგატის ტექნოლოგიურ ხაზზე, რომელიც ერთ კილომეტრ მანძილზეა გადაჭიმული.

ამ რთულ ტექნოლოგიურ ნაკადში ლითონის სწრაფი გადაადგილების, რგოლურ ღუმელებზე ჩამტვირთავი და გამომტვირთავი მანქანების უწყვეტ მოქმედების შვიდი დგანის და დამხმარე მოწყობილობათა მექანიზმების მართვას ცვლაში 19 ოპერატორი სჭირდებოდა. მათ უხდებოდათ რამდენიმე ათეული ათასი მომქანცავი, მაგრამ გლინვის ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვისათვის აუცილებელი ოპერაციის ხელით შესრულება. მაგალითად, მძიმე სამართულების (წონით 60-120 კგ) გამოცვლა მკალცავებს ხელით უხდებოდათ.

მართალია, თანამედროვე ტექნიკურმა აზრმა მიაღწია საგლინავი დგანების მუშაობის მექანიზაციის განხორციელებას, ამ დგანსაც ახასიათებდა მექანიზაციის მაღალი დონე, მაგრამ გლინვის მაღალი ტემპის დროს ეს დონეც არასაკმარისი აღმოჩნდა. მაგალითად, ავტომატური დგანის საცვლელი მექანიზმი, რომელზეც ყოველი მასრა ოგლინება ორჯერ თანმიმდევრულად, წარმოების გადიდებული ტემპების დროს იმდენად ნელმოქმედი აღმოჩნდა, რომ მეალცავებმა უარი თქვეს მის გამოყენებაზე და 50-კილოგრამიან სამართულებს ცვლიდნენ ხელით, ე. ი. ასრულებდნენ ცვლაში 1.200-დან 1.600-მდე მძიმე ოპერაციას და ისიც გავარგარებულ ლითონთან უშუალო სიახლოვისას.

წარმოების ინჟინერ-ტექნიკოსებს აგრეგატ „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაციის იდეა აგრეგატის ათვისებისა და საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პროცესში დაებადათ. ამ იდეის ავტორები არიან ენერგიული ინჟინრები და წარმოების ორგანიზატორები — **ს. შარაძენიძე, ნ. გომელაური, გ. ყამიერაშვილი, ს. მალიშევი, დ. შალიგინი, პ. წერეთელი, გ. გეგორქიანი, ნ. ანდრიუბინი, ი. ყორდანია, ა. უბირია, კ. გრუშეცკი, ო. ბლიაძე** და **დ. ხარაძე.**

დასახული ამოცანის გადაწყვეტისთვის (ყველა ეს ღონისძიებანი უნდა განხორციელებულიყო აგრეგატის მუშაობის პირობებში) მთავარი ის იყო, რომ სწორად მოეხაზათ შემოქმედებითი მუშაობის ეტაპები, თავიდანვე აეღოთ სწორი ტექნიკური გეზი და აუცილებლად საწყისმავე ჰქონებოდათ სასურველი პრაქტიკული შედეგები, რათა საამქროსა და ქარხნის კოლექტივი დაერწმუნებინათ კომპლექსური ავტომატიზაციის განხორციელების რეალობასა და უდიდეს ეფექტურობაში.

კომპლექსური ავტომატიზაცია, რომელიც 1955 წლიდან დაიწყო, მოითხოვდა ხანგრძლივ საძიებელ და კვლევითს მუშაობას, როგორც ავტომატური მართვის სქემების დამუშავებაში, ისე სპეციალური აპარატურის შექმნისა და გადაკეთებაში.

ამიტომაც ავტორებმა გადაწყვიტეს პირველ ეტაპზე ავტომატიზაცია განეხორციელებინათ ტექნიკურად შედარებით ადვილად მისაღწევ უბნებზე, ხოლო გამოცდილების მეძენის შემდეგ ტექნიკურად უფრო რთული უბნების თვისებაც დაეწყოთ.

პარალელურად წარმოებდა სამუშაოები შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის.

პირველ ეტაპზე დამუშავებულ იქნა და დაინერგა მილების ცხლად მაკალიბრებელი შვიდჯრიანი დგანის, ორი მაცივრის, მილების ცივად მომსწორებელი ორი შვიდგლინიანი დგანის და ორი საინსპექციო მაგიდის ავტომატიზაცია.

ამ დროისათვის ავტომატიზებული ხაზის საერთო სიგრძემ უკვე 500 მეტრს მიაღწია.

ავტომატიზაციის პრაქტიკაში აქ პირველად იქნა გამოყენებული კონტაქტური გადამწოდები, როგორც ერთ-ერთი ჯაგრისები, რომლებიც მილთან შეხებისას ავტომატური მართვის აპარატების შემსრულებელ მექანიზმს გადასცემენ იმპულსს. შემდგომში პირველად საბჭოთა პრაქტიკაში გამოყენებულ იქნა უფრო გაუმჯობესებული და მუშაობაში საიმედო, ე. წ. მოცულობით გადამწოდები ნახევრადგამტარიან გამაძლიერებლებზე.

ამასთან ავტორებმა დაამუშავეს და დანერგეს შემომგლინავი დგანების უბნის ავტომატური მართვის ორიგინალური სქემები, რომლებშიც გადამწოდების ნაცვლად გამოყენებული იყო ფოტორელეები მაგნიტური გამაძლიერებლებით, რაც აგრეთვე ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა. ერთდროულად მიმდინარეობდა დიდი მუშაობა განმაღრეტელ და ავტომატურ დგანებზე სამართულთა შეცვლის მექანიზაციის გადასაწყვეტად.

ქარხნის ტექნიკურმა განყოფილებამ და მილსაგლინავმა საამქრომ, აგრეთვე უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროფიზიკის ინსტიტუტმა დაამუშავეს, დაამზადეს და დანერგეს შიგა და გარე გაცივებითი გალვანიზების პირველი, ე. წ. „უცვლელი“ სამართული. ასეთი სამართულები შეუცვლელად მუშაობენ მთელი ერთი ცვლის განმავლობაში.

მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ დამუშავებულ იქნა აგრეთვე განლრეტების მბრუსავი წყლით გამცივებელი „უცვლელი“ სამართულის უბრალო და ორიგინალური კონსტრუქცია.

„უცვლელი“ სამართულების დანერგვამ შეამსუბუქა განმაღრეტელი დგანების მექანიზაციის ავტომატურ მართვაზე გადასასვლელ სამუშაოთა დამთავრება.

მაგრამ „ეიწრო უბნად“ რჩებოდა ავტომატური დგანი, ამ დგანზე იესეთი მექანიზმის მორგება, რომელსაც შეეძლებოდა სამართულების შეცვლა საგლინავ ლერძზე სამართულის ჩამოცმის ტექნიკურად უაღრესად რთული ოპერაციის დროს.

გასულ წელს ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიებისა და მრავალი ექსპერიმენტის შედეგად ავტორთა კოლექტივმა (**ო. ბლიაძე, პ. წერეთელი** და **ი. ყორდანია**) შექმნა სამართულების საგლინავ ღერძზე ჩამოსაცმელ-ჩამოსახსნელი მუშაობისუნარიანი მექანიზმი. მხოლოდ ამის შემდეგ, როდესაც ამუშავდა ეს მექანიზმი და მკალცავები გასთავისუფლდნენ სამართულების ხელით გამოცვლის მძიმე ოპერაციებისაგან, დგანმა ნამდვილად გაამართლა მისთვის აღრე წოდებული სახელი „ავტომატური“. ეს უდრის რევოლუციას მილსაგლინავი წარმოების ტექნიკაში.

1961 წლის დეკემბერში აგრეგატ „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაციის სისტემები უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ მთელ ტექნოლოგიური ნაკადის მანძილზე, რაც შეადგენს 1.060 მეტრს.

კომპლექსურ ავტომატიზაციას შედეგად მოჰყვა: დგანების რიტმული მუშაობა, დგანების წარმადობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ლითონის და ენერგორესურსების ხვედრითი ხარჯის შემცირება.

სამართავ ადგილებზე აღარ ჩანან ოპერატორები, რომლებიც მომართულებას აძლევდნენ მილნამზად-მასრებს კილომეტრიან ტექნოლოგიურ ხაზზე. ღღეს მილნამზადები და მასრები მართვის აპარატურის მეშვეობით უფრთხილდებიან გადიან ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო მიმართულებას, ცხრამეტი ოპერატორის ნაცვლად აგრეგატს სამი ოპერატორი-გამამართველი ემსახურება. აგრეგატის მექანიზაციის და ავტომატიზაციის — დანერგვისადან უკვე მიღებული საერთო ეკონომიური ეფექტი 2 მილიონ მანეთს აღემატება.

გაწეულია დიდი მუშაობა, მიღწეულია დიდი შემოქმედებითი გამარჯვება. ამ შესანიშნავი გაუმჯობესების ავტორები, რომლებმაც მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის, მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მაღალი შეფასება, წარდგენილი არიან ლენინურ პრემიაზე.

ი. მინდლინი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

ა. ნიკოლაიშვილი,
ქარხნის ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების უფროსი ინჟინერი.

* * *

სურათზე: დგანი „400“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

იცნობდეთ ნოვატორებს, რომლებმაც დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია განახორციელეს. ისინი წარდგენილი არიან ლენინურ პრემიაზე.

აღზრდის თემაზე

რეინი სკოლაში ალარ დადის...

რეინ ჭურღულიამ ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის შვიდწლიანი სკოლა დამთავრა შარშან. ახალი სასწავლო წლის წინ სკოლას შენობა მიუშენეს. და მეოთხე კლასი გახსნეს. რეინი სკოლაში დაბრუნდა, საბუთები მოიტანა, სწავლის გაგრძელება უნდოდა. არ ჩაირიცხეს, უარი უთხრეს, საბუთები არა გაქვს წესრიგში. ბოლოს დართეს ნება ეკლო, გაკვეთილებს დასწრებოდა, ჟურნალში არ ეწერა. მისი სახელი და გვარი, სიას რომ კითხულობდნენ მასწავლებლები, არ დგებოდა და არ ამბობდა: — ვარ! გაკვეთილებს არაფერ ეკითხებოდა. მაინც დადიოდა, ავსებდა რგეულებს ჩანაწერებით. შემდეგ შეწყვიტა სიარული. დღეები გადიოდნენ, რეინი არ ჩანდა სკოლაში, არავინ მიაკითხა, არავინ დაინტერესდა, სად იყო რეინი.

გაზაფხულივით მზიანი დღეები დგას ოდიშში, თბილა. ჩვენ სამასწავლებლო ოთახში ვართ. ვიწერო, მოგრძო მაგიდას ძველი, შელნის ლაქებიანი და გახუნებული გადასაფარებელი ფარავს. მასწავლებლებიც აქ არიან. რეინი სკოლაში არ არის, მოსაყვანად კაცი გავგზავნეთ. მოლოდინში ვსაუბრობთ.

— რატომ არ დადის სკოლაში **რეინ** ჭურღულია?

არავინ იცის. თქვეს, ორიოდე წლის წინათ შვიდწლედი დამთავრაო. ისიც თქვეს, დადიოდა ცოტა ხანს, მაგრამ შემდეგ აღარ გამოჩენილაო.

— ჟურნალში მისი გვარი არ სწერია. რატომ?

— დაბადების მოწმობა არ ჰქონდა, უფლება არა გვაქვს უსაბუთო ბავშვი ჩავიცხოთ.

ბავშვი აქ სწავლობდა, ამ სკოლაში დამამთავრა შვიდი კლასი, მას იცნობდნენ მასწავლებლები, უცხო ხომ არ იყო. ბავშვი მოვიდა და საბუთები მოიტანა, მართალია დაბადების მოწმობა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ განა ამართლებს ეს იმ ფაქტს, რომ ბავშვი სკოლის გარეთ რჩება.

დრო საუბარში გადის, **რეინის** მოსაყვანად წასულები დაბრუნდნენ. **რეინის** დედა მოჰყვათ. ბავშვი ავად ყოფილა, სამი თვეა წევს, დროდადრო თუ ადგება.

მანქანა სოფლის გზაზე ინჯღრევა. ბორცვის წვერზე წამოჯიმულა ხის ოდასახლი. ეზოში ექვსიოდე წლის ბიჭი შემოგვეგება, ალაყაფის კარი გაგვიღო. ოდაში ავედით. ოთახში მამა-შვილი წევს. მამა ცხენიდან ჩამოვარდნილა და ორი თვე თურმე საავადმყოფოში იწვა. ბრიგადირია ჭიკოკო ჭურღულია. ყველა აქებს, მშრომელი კაციაო, კიდევაც რომ არ ეთქვათ, მაინც ეტყობოდა დაკოჟრილი ფართო ხელებზე შრომის ყოველი ჩვენი.

შვილი შვილის მამაა ჭიჭიკო ჭურღულია. **რეინიც** ლოგინში წევს, ფართო დიდი თვალები აქვს. ხიდან გადმოვარდნილა ბავშვი. თვალებს ახამხამებს, ეტყობა ლაპარაკი უჭირს.

ახლა ბავშვი ავად არის, მოკლე ხანში გამოჯანმრთელდება, რა უნდა გააკეთოს? სკოლაში იგი ფაქტიურად აღარ არის. ადრე სკოლაში დადიოდა **რეინი**, როგორც „თავისუფალი მსმენელი“ შემდეგ გუნი აუცურეგდა, აღარ მივიდა... ბოლოს ავად გახდა, მამის დაშავებაც დაერთო ზედ.

სად იყო სკოლა, სად იყვნენ დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებლები, ამხანაგები? რატომ აეფარნენ ქალაქის ძალას, უგულებელყვეს ბავშვის სურვილი. მორცხვი ბიჭი ჩანს **რეინი**, ერთხელ მივიდა და მეორედ ვეღარ გაბედა. ალბათ ეეოდა, ჩამწერენ ჟურნალშიო.

იქნებ, ცელქია, ვერ სწავლობს. შეიძლება ასეთიც იყოს ბავშვი, მაინც არავის არა აქვს უფლება თავიდან მოიშოროს, სკოლის გარეთ დატოვოს. პირიქით, ასეთ ბავშვს ყურადღება, სწორ გზაზე დაყენება უნდა. ამ სკოლაში მოსწავლე მესხიაც სკოლის გარეთ არის დარჩენილი. თვითონ ვერ ვნახეთ, მშობლებს ველაპარაკეთ.

— კოლმეურნეობაში მუშაობს ბავშვი, ასე ამბობს, სწავლა არ მინდა, მუშაობა მინდაო, — თქვა მამამ. ეს მამამ თქვა, მაგრამ განა ეს საკმარისია. განა ეს ამართლებს ან შშობლებს ან სკოლას. ბავშვს უნდა შეაგნებინონ, რომ ცუდია სკოლის მიტოვება, უსწავლელობა. ამას თვითონაც მიხვდება, რომ წამოიზრდება, დავაყაკაცდება, მაგრამ მაშინ გვიანღა იქნება.

რვაწლედის დამთავრება საალღებულოა ყველასათვის. ჩვენი სახელმწიფო, ხალხი იძისათვის იბრძვის, რომ უახლოეს წლებში საშუალო სკოლის გარეთ არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს. ჩვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვამენებთ. კომუნისტურ საზოგადოებას კი განათლებული ადამიანები სჭირდება, განათლებული და მშრომელი. ასეთი ადამიანები, შრომისა და სწავლის შეერთებით, სკოლამ უნდა აღზარდოს. კომუნისტურ საზოგადოებაში სხვებთან ერთად იცხოვრებენ დღევანდელი მოსწავლეები ჭეურღულია და მუსხია. ისინი უფრო მომზადებულნი, ცოდნით აღჭურვილნი უნდა მოეგებინონ მომავალს. ცოდნა ხომ გააკეთებენ მათ წელილს.

ახალგაზრდა ფაქიზი არსებაა. იგი ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. ბავშვი მითუმეტეს.

ო. ლორთქიფანიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ზუგდიდი, იანვარი.

შვიდწლედის ადამიანები

ერედვეი ნატო

— აქამდე, ჩემო ძმაო, შუქურვარსკვლავი მარტო ცაზე კიაფობდა, — თქვა გიგა ტარიელაშვილმა და ცერად გადახედა შაქრო ბორცვაძეს, ამბა რას იტყვისო.

მოხუცი შაქრო კი სიტყვა-პასუხში, როგორც შრომაში, გიგას როდი ჩამოუვარდება. ახლაც აღარ დააყოვნა და ღიმილს ეს სიტყვები მიაყოლა:

— ჩვენცა გვყავს ჩვენი შუქურვარსკვლავები. აი თუნდაც ნატო, ერედვის შუქურვარსკვლავი.

— ნატოს ბიძაშვილი ამირანი ნაკლებია? — ჩაურთო გიგამ.

— არც ნაკლებია და არც მეტი. ორივე კარგი მშრომელია, შრომას კი კომუნიზმში შევყავართ, — მტკიცედ თქვა შაქრომ.

მოხუცი მუშები კანტორაში ღუმელთან ისხდნენ და ტკბილად საუბრობდნენ. მოკლეა ზამთრის დღე, გრძელია ღამე... და ამ მოხუცებს შინ როდი ეჩქარებათ. ახალი დალამებულია. ვახშმობის დრო ჯერ არ არის... ამ და, აქ ლაპარაკობენ ცისას — ტიტოზე და გაგარინზე, მიწისას — შუქურვარსკვლავებზე, ხვალინდელ დღეზე, კომუნიზმზე.

გამახსენდა, „ასე იწერება შვიდწლედის მატიანე“. მარტო გახსენება რა ბედენაა, თუ გულთან არ მიიტანეს საქმე, რისთვისაც ეს მატიანე იწერება? უნდა გიამბოთ მეჰარხლე ნატო ვახტანგაშვილზე, მის ამხანაგებზე — ერედვის შუქურვარსკვლავებზე.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ერთ-ერთ ავტორიტეტულ ორგანოში ნატო ვახტანგაშვილზე გაიგზავნა ასეთი დახასიათება:

ამხანაგი ნატო დავითის ასული ვახტანგაშვილი — დაბადებული 1931 წელს, სკკპ წევრობის კანდიდატი 1961 წლიდან, არის ერედვის მერძეველობა-მეგობსტნეობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის აქტიური უფროსი მუშა. მეჰარხლეობაში მას აქვს მაღალი საწარმოო მაჩვენებლები.

კომკავშირში იყო 1944 წლიდან, სადაც იჩენდა თავდადებას და წარმატებით მონაწილეობდა ყველა დავალების შესრულებაში.

როგორც მუშა, ნ. ვახტანგაშვილი ყველა პარტიულ დავალებას ახრულებს პირნათლად და დიდი მონდომებით. იგი არის აგიტატორი № 8 ბრიგადაში, სადაც ამ დავალების შესრულებას პასუხისმგებლობით ეკიდება.

ნ. ვახტანგაშვილი საზოგადოებრივი საქმის ენთუზიასტია. ის, როგორც პროფკავშირის წევრი, არჩეულია მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ნატო მოწინავე გამოცდილების დანერგვით მთელი რიგი წლების განმავლობაში მაღალ მოსავალს იღებს.

1959 წელი. მან აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით ჰექტარზე 418 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა.

1960 წელი. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა ნატომ ჰექტარზე 587 ცენტნერამდე აიყვანა.

1961 წელი. როგორც უფროსი მუშა, ხელმძღვანელობდა ოც მეჰარხლეს, რომლებიც უკლიდნენ ოთხ ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესს. მათ ჰექტარზე 666 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღეს გეგმით გათვალისწინებული 300 ცენტნერის ნაცვლად.

ნ. ვახტანგაშვილი მოწინავე მუშაა, პირად მაგალითს უჩვენებს სხვებს შრომაში და იბრძვის სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ასეთია შუქურვარსკვლავის „ჩვენი ნატოს“, როგორც ერედველები ამბობენ, დახასიათება. მართალია, ეს დახასიათება ოდნავ მშრალად, მაგრამ მაინც ნათლად წარმოგვიდგენს კომუნიზმის მშენებლობის მონაწილე ქართველი მუშა ქალის კეთილშობილ სახეს.

ნატო — შუქურვარსკვლავი გზას უნათებს სხვებს: რამდენიმე კვირაა მასთან შეიქმნა შუქურების სკოლა. მასში ჩაებნენ მეჰარხლეები ლენა, რუსიკო, თამარ ბერუაშვილები, ნინო და თამარ ქოქოლეები. ნატოს სკოლელები წელს ჰექტარზე 700 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მოიყვანენ.

ჩვენმა ნატომ მეურნეობის მთავარი აგრონომის მითითებით შეიმუშავა 24 სახის ღონისძიება.

დიახ, შუქურვარსკვლავმა დაიწყო ლექციების კითხვა. იგი აგროღონისძიებებს ასწავლის თავის სკოლელებს, ოთხჰექტარიანი ფართობი კი მზრალად მოხნულია და თოვლის საბანი გადაჰფარვია.

4 ჰექტარზე ასოთხმოცი ტონა ორგანული სასუქის გაზიდვა, მზრალის ფარცხვა, სათესლედ ერთღერეანი თესლი, რწყვა—ექვს-შვიდჯერ. ახლა ამ აგროღონისძიებებს სწავლობენ ნატოს სკოლელები და ზოგ რამეს პრაქტიკულადაც აკეთებენ.

მართალი არიან ჩემი თანამოსაუბრე მოხუცები. დიახ, ეს არის ცხოვრების ბიმნი, ბრწყინვა შუქურვარსკვლავთა, ეს კომუნიზმია, რომელიც მოდის შრომით, სიუხვით, სიმღერით.

ს. ყურაშვილი,

* * *

სურათზე: ნ. ვახტანგაშვილი.

„მოწყალების კალთას“ ამოფარებული

მიწის მადლით ქუტირი არც ერთ სოფელს არ ჩამოუვარდება წულუკიძის რაიონში. ცხენისწყლისპირა ჭალები „მინდვრის დედოფლის“ ნამდვილი დედაა. ამ სოფლის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებიც ხარობს და ბაღჩა-ბოსტნეულიც, პირუტყვის გამრავლებისათვისაც ჩინებული პირობებია.

ერთი სიტყვით, ბუნებას ვერ დაემდურებიან აქაურები. მიწაც კარგია და ადამიანებიც. ესე რომ არ იყოს, შარშან ჰექტარზე 60-70 ცენტნერ სიმინდს ვერ მოიყვანდნენ ბრიგადირი ამბობსო. ტერეზაძე, კოლმეურნეები ვალოდია მიქაძე, აბესალომ ჭიშმარია, არტემ ლეთოდიანი და ვალერიან ბუაძე.

და მაინც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ცანავას და პარტიბიუროს მდივანს შ. ბუაძეს სწორედ ბუნებაზე, არაჩვეულებრივ კლიმატურ პირობებზე მიაქვთ ეერიში... შარშან სამარცვლედ ნათესი 300 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 11,8 ცენტნერი სიმინდი რომ მიიღეს, უამინდობას გადაამარცლეს. არც შარშანწინ იყო მაინცდამაინც ხელრაინი ამინდიო, ამიტომაც თვრამეტის ნაცვლად ჰექტარზე ცხრა ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთო.

სწორედ ასეთ ხელმძღვანელებზეა ნათქვამი, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. თუ მოწინავეებმა ისეთივე ამინდის პირობებში სარეკორდო მოსავალი მიიღეს, დანარჩენებს საშუალო მოსავლის მოყვანა მაინც შეეძლოთ. დიახ, შეეძლოთ! მაგრამ აშკარად გვერდს უვლიან მოსავლიანობის ზრდის რეზერვებს — არ გამოუყენებიათ ნიადაგის მოშლამავ, დაუშვებლად გააჭიანურეს თესვა და ნათესების დამუშავება.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეჩიეობას. მაგრამ მაღალ ეკონომიკურ ეფექტს ამ დარგში ვერ ეფარებიან. ფუფრო მეტიც, შარშან ჩაის ფოთლის გაცილებით ნაკლები მოსავალი მიიღეს, ვიდრე 1960 წელს. მიუხედავად ამისა, რომ ბაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა რატომღაც „შეიწყალეს“ და წინა წელთან შედარებით კოლმეურნეობას ჩაის კრეფის დავალება კიდევაც შეუმცირეს, საქმეს მაინც არ ეშველა.

„მოწყალების კალთას“ ამოფარებულმა კოლმეურნეობის მესვეურებმა ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობა შეასუსტეს, კრეფის ტექმიაც შეანელეს და 60 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიან სახელმწიფოს ორმოციოდე ტონა ნედლეული ჩაბარეს.

ჰექტარზე მხოლოდ 666 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. განა ეს ციფრი თავისთავად დამაფიქრებელი არ არის?

უფიქრდებიან კი? სამწუხაროდ, არა. პლანტაციების თითქმის ორი მესამედი გამეჩხერებულია, მაგრამ წლების მანძილზე არავინ ზრუნავს მათი რემონტისა და შევსებისათვის. სამუშაოს უხარისხოდ, ზერეულად, დაგვიანებით ასრულებენ. ახლაც ასეა. ჩაის საზამთრო სამუშაოები იმით ამოწურეს, რომ მარტოოდენ რვა ჰექტარი ნიადაგი გადაბარეს, ისიც ისე, რომ არც ერთი კილოგრამი სასუქი არ შეუტანიათ.

ჩამორჩენას საზოგადებრივი მეურნეობის სხვა დარგებშიც ეწაწყდებით. კოლმეურნეობას არც ერთ წელიწადს არ შეუსრულებია ბარდის, ბოსტნეულისა და საკვები კულტურების მოსავლიანობის გეგმები. შარშან, პირიქით, ათი ჰექტარი ბარდისა და ოთხი ჰექტარი პამიდორის ნათესი მთლიანად დაიღუპა.

